სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 2 ივნისი, 2018

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხმაზე ჰკადენს დღევანდელს, თუ კაცს პატრონი,
ხინჯსღა დაამიანებს თურ სიფცვად ამ მიაჩნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული "სასოფლო_სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ" ორგანული კანონის პროექტის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 27 აპრილს მოისმინა მოხსენება "საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული "სასოფლო_სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ" ორგანული კანონის პროექტის შესახებ". მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

აღინიშნა, რომ „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ" ორგანული კანონის პროექტი შედგენილია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-19 მუხლის შესაბამისად. მნიშვნელოვანია ის, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწას მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის სტატუსი, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს, ორგანული კანონით (კონსტიტუცია. მუხლი 19, პუნქტი 4).

აღნიშნული ორგანული კანონის პროექტის პრეამბულაში სწორად არის ჩამოყალიბებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოწურვადი რესურსის რაციონალურად გამოყენების, მიწის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი მეურნეობის განვითარების მიზნები და ამოცანები.

სასოფლო - სამეურნეო მიწის - ეროვნული სიმდიდრის - რაციონალურად გამოყენების მიზნით პროექტში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს (მიდგომებს) მხარს ვუჭერთ და ვთვლით, რომ კანონის მიღება დაარჩქარებს სასოფლო - სამეურნეო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დარგების

კომპლექსური განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ამასთან წარმოგიდგენთ ჩვენს ზოგიერთ მოსაზრებას, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს კანონპროექტით განსაზღვრული მიზნების (ამოცანების) განხორციელებას.

1. **წინამდებარე კანონპროექტის მიხედვით (თავი 11. მუხლი 5.პუნქტი 3)** სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიებში შეტანილი არ არის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები, რაც არასწორად მიგვაჩნია. აღნიშნული 3 პუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიებია:**
ა) სახნავი
ბ) მრავალწლიანი ნარგავები
გ) საკარმიდამო
დ) სათიბი,
ე) საძოვარი.
სწორად არის ჩამოყალიბებული პუნქტი 6, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთებისათვის კატეგორიების მინიჭებისა და კატეგორიის ცვლილებების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.
2. **კანონპროექტის მიხედვით (თავი III, მუხლი 7)** სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს:
ა) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში;
გ) საქართველოს მოქალაქის საკუთრებაში;
დ) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, თუ იურიდიული პირის დომინანტი პარტნიორი არის ბენეფიციარი მესაკუთრე;
ე) გაერთიანებების/ამხანაგობების საკუთრებაში, რომლებიც არ რეგისტრირდებიან იურიდიული პირის სახით, თუ წევრების უმრავლესობას წარმოადგენენ ამ პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები.
კანონპროექტით გათვალისწინებული შეზღუდვებით სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს:
ა) **უცხოელის საკუთრებაში,** თუ მიიღო მემკვიდრეობით ან „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წარმოეშვა მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) უფლება;
ბ) **საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში,** თუ დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

ამასთან (მუხლი 8) განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების დამატებითი პირობებიც.

ჩვენი აზრით, ბ ქვეპუნქტის მოთხოვნა მიზანშეწონილია გავრცელდეს დღემდე დაფიქსირებულ შემთხვევებზე. შემდგომში განისაზღვროს წესი, რომლის მიხედვით უცხოელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი გადაეცემა მხოლოდ საიჯარო ურთიერთობათა საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა დაფიქსირდა კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვების დროს. ამასთან როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს საიჯარო ურთიერთობების განვითარება მიწის ბაზრის ფორმირება-სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

3. **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის შესახებ კანონპროექტში სტრატეგიულად სწორად არის განსაზღვრული** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის საკითხები (მუხლი 4). არგუმენტირებულია მიწის რაციონალურად გამოყენების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი განვითარებისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნა (უფრო მიზანშეწონილია მას ეწოდოს მიწის რესურსების მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტო).

სააგენტოს უფლებამოსილების განსაზღვრისას (მუხლი 4. პუნქტი 3) გასათვალისწინებელია, რომ მის სტრუქტურაში შეიქმნას შესაბამისი საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციები. ასევე მიზანშეწონილია განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სახელმწიფო მარაგი, გაიმიჯნოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები (თითქმის 2 მლნ ჰექტარი 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით) სახელმწიფო, ავტონომიურ რესპუბლიკასა და მუნიციპალიტეტებს შორის.

4. **თანამედროვე პირობებში აქტუალური მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის პრინციპის განსაზღვრას (კანონპროექტის 11 მუხლი).**

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენებაში არსებული მდგომარეო-

ბის (მიწის აღრიცხვისა და რეგისტრაციის დაბალი დონე. ქვეყანაში დღემდე არ არსებული მიწის ბალანსი, ფინანსური რესურსების დეფიციტი და სხვ) გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილია შეიქმნას **სპეციალიზებული საადგილ-მამულო სახელმწიფო-კომერციული ბანკი, რომელიც მოემსახურება აგრარული სექტორის განვითარებას, ხელს შეუწყობს მიწის რაციონალურად გამოყენების სტიმულირებას.** საჭიროა დადგინდეს იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის გამოყენების შემდეგი წესი: ბანკი 2 წლის მანძილზე ვალდებულია იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი გაასხვისოს. პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიეცეს მის ადრინდელ მფლობელს. სხვა შემთხვევაში მიწის ნაკვეთს შეისყიდის საქართველოს მოქალაქე, იურიდიული პირი ან სახელმწიფო. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ბანკს, რომელიც იპოთეკურ დაკრედიტებას ახორციელებს, საკუთრებაში არ გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. ასეთი წესი ხელს შეუწყობს მიწების კონსოლიდაციის პირობების შექმნას.

5. **დაზუსტებას მოითხოვს ტერმინი "საქართველოს მიწის ფონდის" მნიშვნელობა.** პროექტით იგი განმარტებულია, როგორც "საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიწები, მათ შორის ტყით და წყლის ობიექტებით დაკავებული მიწები, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში". ამჟამად დადგენილი წესის მიხედვით საქართველოს მიწის ფონდში შეტანილია (2002 წლიდან) საქართველოს ტერიტორიული წყლების ფართობი (678.5 ათასი ჰექტარი), რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. აღნიშნული ფართობი ცალკე უნდა გამოიყოს და დაფიქსირდეს მისი სტატუსის მიხედვით.

საქართველოს მეაბრეშუმეობის პრობლემები, პერსპექტივები და აჭარაში თუთის აბრეშუმხვევიას 2018 წლის საცდელ-საჩვენებელი გამოკვების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 30 მაისს მოისმინა ინფორმაცია „**საქართველოს მეაბრეშუმეობის პრობლემები, პერსპექტივები და აჭარაში თუთის აბრეშუმხვევიას 2018 წლის საცდელ-საჩვენებელი გამოკვების შესახებ**". მომხსენებელი: აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

აღინიშნა, რომ მეაბრეშუმეობას საქართველოში თხუთმეტ საუკუნოვანი ისტორია აქვს და ის ყოველთვის განიხილებოდა როგორც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ოჯახის ფულადი შემოსავლების ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების წყარო. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. და უფრო მეტიც, დიდი აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა. "საქართველოს მმართველნი უცხოელ დამპყრობელებს აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს", ხოლო ისინი ქვეყნის ეკონომიკის დაცემისა და ხალხის დამორჩილების მიზნით, ვაზთან ერთად თუთასაც ჩეხდნენ.

ქართულმა აბრეშუმმა 1850 წელს ტურინის და 1862 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენებზე განსაკუთრებული ქება და მედლები დაიმსახურა. 1998 წელს თუთის აბრეშუმხვევიას ქართული ჯიშების ("მზიური 1" და "მზიური 2") პარკიდან მიღებული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა ესპანეთში ევროპის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო – პლატინის ვარსკლავი დაიმსახურა.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებდა მცირე მიწიანობა და სოფლად დაუსაქმებელი მუშახელის სიჭარბე. სამწუხაროდ ჭარბი მუშახელის პრობლემა დღეს უფრო მწვავედ დგას, ვიდრე წარსულში, რაც მეაბრეშუმეობის აღორძინების პარალელურად მნიშვნელოვნად შემცირდება. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მეაბრეშუმეობის ნაწარმის დამზადებაში დასაქმებული იყო 120 ათასამდე ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში კი – 5-6 ათასი კაცი. აღნიშნულ პერიოდში ყოველწლიურად იწარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და დარგიდან ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. დარგში კონცეტრირებული იყო მძლავრი ინტელექტუალური რესურსი დ სოლიდური კაპიტალდაბანდებები.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, მეაბრეშუმეობა საქართველოში ყოველთვის იყო მომგებიანი სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების პირობებში. მას უამრავი ეკონომიკური რეზერვი გააჩნია აბრეშუმის პარკის, აბრეშუმის ძაფის, აბრეშუმის გრენის და ბოლოს აბრეშუმის ქსოვილის ექსპორტის შემთხვევაში.

დღეისათვის მეაბრეშუმეობის დარგი განადგურებულია. მასზე ზრუნვა მეცნიერების და ცალკეული ენთუზიასტი პრაქტიკოსების იმედად არის მიტოვებიული. მიუხედავად ამისა, მეაბრეშუმეობა ისეა ფესვგადგმული ქართველი კაცის ყოფაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან მცირედი ხელშეწყობის პირობების შექმნის შემთხვევაში იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს

ეკონომიკაში.

როგორც აღინიშნა, მეაბრეშუმეობის დარგის მდგომარეობა კრიტიკულია, რაც გამოწვეულია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში (1964 წ) თუთის ხის დაავადება "ვერილფოთოლა სიხუჭუჭით", რომლის შედეგად ქვეყანაში ამოიძირკვა 15 მილიონი თუთის ხეს, ხოლო შემდეგ საკვები ბაზის ოთხმოცდაათიან წლებში განადგურებით (რომელიც სამწუხაროდ 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდა). შემდგომში წარმოიშვა მიწების პივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სუბიექტური მიზეზები, რასაც დარგის სრული დაცემა მოჰყვა. მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირებით გამოწვეული ზარალი ვერ აინაზღაურა სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლებით, რამაც უფრო დაამძიმა მდგომარეობა. მთლიანად მოიშალა გრენის, პარკისა და თუთის სარგავი მასალის წარმოება, განადგურდა აბრეშუმის მრეწველობა, შეწყდა ნატურალური ბოჭკოს წარმოება და ინვესტიციების მოზიდვა, შეწყვიტა ფუნქციონირება სააქციო საზოგადოებამ "საქაბრეშუმი", მუშაობა შეწყვიტა საფეიქრო ინსტიტუტმა და აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითმა ფაკულტეტმა, კულტურის სამინისტროს გადაეცა მეაბეშუმეობის უნიკალური მუზეუმი (რომელიც საბედნიეროდ დღეს წარმატებით ფუნქციონიებს) და სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამას დაემატა მეაბრეშუმეობის დარგის მიმართ არასწორი მიდგომები. ასე მაგალითად, თავიდანვე მცდარი იყო იმ მაღალჩინოსნების არა სწორი მოსაზრების პროპაგანდა – თითქოს მეაბრეშუმეობა ვერ გაუძლებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და დაიღუპებაო, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ამასთან, როგორც იტყვიან, "ცეცხლს ნავთი დაასხა" გაზეთ "რეზონანსში" (09 მარტი, 2018 წელი) გამოქვენებულმა ინფორმაციამ "მ. გოგიაშვილი-მეაბრეშუმეობა მომგებიანი არ არის", რომელიც საბოლოოდ ასამარებს მეაბრეშუმეობის დარგს. სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ მეორდება ერთნახევარი საუკუნის წინანდელი შეცდომა, რაც დაავადება "პებრინის" გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ბატონ მ. გოგიაშვილის მიერ გაანგარიშებული ბიზნეს გეგმით თუ ვიმსჯელებთ, დარგი სახელმწიფოს ნების მიხედვით უნდა იყოს სუბსიდირებული და ამას ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი აზრით ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე, შემდეგ დარგი თვითონ შეინახავს თავის თავს და სახელმწიფოსაც დიდ მოგებასაც მოუტანს. მეაბრეშუმეობა არ არის კენკრის ან მოცვის განვითარების პროექტი, სადაც რამოდენიმე წელიწადში მოგებას ღებულობენ, მაგრამ მარწყვის, ან ჟოლოს და მოცვის შედარება მეაბრეშუმეობის ყოფილ მასშტაბებთან (45 ადმინისტრაციული რაიონი, 670 კოლმეურნეობა, 201 მეურნეობა - 1975 წლის მონაცემები) შეიძლება? დარგთან, რომლის აღორძინებას რამოდენიმე წლები და ეტაპები სჭირდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას უკვე რამოდენიმე წელია გამოცემული აქვს "საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში", მეაბრეშუმეობისადმი მიძღვნილი რეკომენდაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე, მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საინვესტიციო პროექტები ხონის და ვანის რაიონებში, სამი მონოგრაფია საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის, აღდგენისა და განვითარების მიმართულებით და ა.შ., მაგრამ დღემდე ამ მასალებით არავინ დაინტერესებულა და იცით რატომ? მეაბრეშუმეობა პირველსავე წელიწადში მომგებიანი რომ არ არის. აი, ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჯერ-ჯერობით მეაბრეშუმეობის აღდგენა განვითარებას ქვეყანა ვერ იწყებს.

აკადემიის ინიციატივით აჭარაში წელს ჩატარდა თუთის აბრეშუმხვევიას საცდელ-საჩვენებლი გამოკვება მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (თუთის ტოტებიდან ფოთოლგამცლელი და ფოთოლსაჭრელი მანქანები, მარტივი ტიპის თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები დანადრაი ნაძირის ავტომატური გამოცლით), ჩატარდა სწავლება და ტრეინინგები მეაბრეშუმეობით დაინტერესებული მოსახლეობისათვის, განხორციელდა ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა ქართველი მეცნატის, ბატონი ჯიმშერ ჩხაიძის მიერ ქვეყნის მეაბრეშუმეობისთვის უზბეკეთიდან შეძენილ მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევ დანადგარზე.

აკადემიის ინიციატივით და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კეთილი ნებით, ქ. ბათუმში 2019 წლის აპრილში გაიმართება შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის ქვეყნების (სულ 21 ქვეყანა) მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) მე-9 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "მეაბრეშუმეობის შენარჩუნება და განვითარება", რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე სტუმრები აზიის და ევროპის ქვეყნებიდან და ეს კონფერენციაც საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და განვითარებაზე იმსჯელებს, ვინაიდან ქართულ აბრეშუმს ხარისხით მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს.

თუმცა, საბაზრო ეკონომიკის განმტკიცების დღევანდელ ეტაპზე ვითარება შეიცვალა, დარგის აღორძინება სახელმწიფოს ინტერესებში მოიაზრება და ეს სულყოფილად უნდა გამოვიყენოთ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ ქართული აბრეშუმი რენტაბელური იქნება, თუ აკადემიის ძალისხმევას ხელი შეეწყობა მეაბრეშუმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესამუშავებლად, აგრეთვე მის მიერ შემოთავაზებული პროექტებით სერიოზულად დაინტერსდებიან როგორც ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურები, ისე ინვესტორები.

მეციტრუსეობის დარგში მოსავლიანობის გადიდებისა და რენტაბელობის შენარჩუნების ღონისძიებების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2018 წლის 30 ივნისს მოისმინა მოხსენება „მეციტრუსეობის დარგში მოსავლიანობის გადიდებისა და რენტაბელობის შენარჩუნების ღონისძიებების შესახებ.” **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე.

აღინიშნა, რომ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობის დარგის დანერგვისა და განვითარების ისტორია მნიშვნელოვანი მასშტაბებით გასული საუკუნიდან იწყება. ამ დარგმა დიდი როლი შეასრულა როგორც მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ისე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. ფაქტიურად ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში დარგმა ეროვნულ ეკონომიკაში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა და შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დასაქმდა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ოჯახურ მეურნეობებში და ა.შ. მეციტრუსეობის მომგებიანობის, რენტაბელობის და სხვა დარგებთან შედარებით ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოური სისტემის პირობებში საკარმიდამო ნაკვეთების შეზღუდული ფართობების მიუხედავად მოსახლეობა უკიდურესი რელიეფური, კლიმატურ თუ სხვა პირობებში აშენებდა ციტრუსოვანთა ბაღებს და შედეგები პოზიტიური იყო.

1982 წლის 2 თებერვლის ერთ-ერთ წერილში აჭარის მთავრობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას წერდა, რომ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების მთლიან მოცულობაში პირად დამხმარე მეურნეობებს დიდი ხვედრითი წილი უკავია, მათ შორის ციტრუსოვანთა ნედლეულის წარმოებას. 1991 წლის მონაცემებით ციტრუსოვანთა საერთო მოსავლის 82,3% საკარმიდამო ნაკვეთებში იწარმოებოდა.

საინტერესოა დასკვნები და შეფასებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ციტრუსოვანთა კულტურების გაშენება განუყრელადაა დაკავშირებული ნედლეულისა და პროდუქციის მოხმარება-რეალიზაციაზე. სიმინდი და სხვა კულტურები გლეხს ძირითადში საკუთარი მოხმარებისათვის სჭირდება. ციტრუსოვანთა საკუთარი მოხმარება მცირეა. ამიტომ სანამ გლეხი გადაწყვეტს სიმინდისა და სხვა კულტურების მაგივრად გააშენოს ციტრუსები იფიქრებს იმაზე, ექნება თუ არა მას რეალური გასაღება ამ პროდუქციისა და მიღებული შემოსავლები იყიდის სხვა საჭირო პროდუქტებს. ამგვარად ციტრუსების გაშენება მჭიდრო კავშირშია საკუთარ მოხმარებასა და საგარეო ბაზრებზე რეალიზაციის საკითხთან.

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა რომლის საკუთრებაში გადავიდა თითქმის ყველა ციტრუსოვანთა ნარგავებით დაკავებული ყველა ფართობები და რეალურად საკუთრების სხვა ფორმებით ეს დარგი აღარაა წარმოდგენილი , იგივე პრობლემების წინაშე დგას. მეწარმე სუბიექტმა ან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მის საკუთრებაში არსებული მიწების სხვა კულტურების ქვეშ მოქცევის შესახებ, ან სათანადო დონეზე დააყენოს ციტრუსოვანთა ბაღების გაშენების, მოვლა-მოყვანისა და დამზადება რეალიზაციის პროცესი. მეორე შემთხვევაში რამდენიმე მთავარი პრობლემა უნდა იქნეს გადაჭრილი:

1. ციტრუსოვანთა ნაყოფის მწარმოებლისათვის რეალიზაციის მისაღები პირობების და გარემოებების შექმნა საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის;
2. გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, რომლებიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებაზე და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, კომპლექსური და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვაზე;
3. ადგილობრივი აგრობიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ეფექტურობის ამაღლება ადგილობრივი წარმოების არაჯანსაღი კონკურენციისაგან დაცვის უზრუნველყოფა;
4. განათლების მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოს სტრატეგიული კურსის შემუშავება და განხორციელება.

მეციტრუსეობის დარგის აღმავლობის პერიოდისათვის პირადი ინიციატივისა და საერთო მასტიმულირებელი გარემოს გარდა არსებობდა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ციტრუსოვანთა ბაღების ფართობის ზრდას, მოსავლიანობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხს, დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის მაჩვენებლებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

1. სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული სტრატეგიული კურსის გატარება დარგის განვითარებისადმი;
2. მოწინავე პროგრესული აგროტექნოლოგიების შემუშავება, დანერგვა და სავალდებულო განხორციელების მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. მიწის ნაყოფიერების ამაღლება, მეჩხერიანობასთან ბრძოლა, ჯიშთა

სწორად დარაიონება, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა, ციტრუსოვანთა ბაღებში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხელშემწყობი ერთწლიანი კულტურების თესვა, დაბალი ტემპერატურის პირობებში კოცონების დანთება, გვალვიან პირობებში მულჩირების წესის გამოყენება, მცენარეთა შეხვევა-შეფუთვა და ა.შ.

3. გადამამუშავებელი საწარმოების უზრუნველყოფა ნედლეულის მოცულობის ადეკვატური საწარმოო სიმძლავრეებით;

4. ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების ტექნოლოგიების მრავალფეროვნება, წარმოებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტი და ნომენკლატურა;

5. სტანდარტული ნაყოფისა და არასტანდარტული ნედლეულისაგან წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირება რეალიზაციის მობილური სისტემა;

6. ფასების მექანიზმების გამოყენება და მართვა;

7. სხვა ზემოქმედი ფაქტორები.

1980-1990-იანი წლების პერიოდში მეციტრუსეობის დარგის განვითარებამ შეიძლება ითქვას გარკვეულ პიკს მიაღწია. თუმცა თუ კვლავაც შენარჩუნებული იქნებოდა იმ პერიოდის მოთხოვნა-მიწოდების პირობები, შესყიდვის ფასები, მაშინ ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი და წარმოების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

გასული საუკუნის მონაცემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა ფართობისა და წარმოების მოცულობის შესახებ ასეთია:

№	მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1971-1975 წწ. საშუალო წლიური	1976-1980წწ. საშუალო წლიური	1981-1985წწ. საშუალო წლიური	1990წ. საპროგნოზო
1	ფართობი	ჰა	7020	7390	8336	8600
2	წარმოება	ტ	57300	118400	150980	235295
3	მეციტრუსეობაში გამოყენებული მინერალური სასუქები 100% საკვები ნივთიერების შემადგენლობაზე გადაანგარიშებით	ტ	10300	10560	11003	12701
	აზოტი	ტ	7500	7670	7905	9125
	ფოსფორი	ტ	1250	1290	1301	1476
	კალიუმი	ტ	1550	1600	1797	2100

მოსავლიანობისა და სტანდარტული ნაყოფის ხვედრითი წილის გაზრდის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია აგროტექნოლოგიების სწორად დაგეგმვა და სავალდებულო ჩატარება, სასუქებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც დღეს ძალიან შორსაა საჭირო მდგომარეობასთან. რა თქმა უნდა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში თითოეული სუბიექტის სტიმული აგრო ტექნოლოგიების დაცვისადმი დამოკიდებულია დარგის რენტაბელობაზე, მომგებიანობაზე და საკუთარი ბიუჯეტის მყარი შემოსავლების მიღებაზე. სწორედ ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს სუსტი მხარეები რომლებიც წარმოიქმნა ამ დარგში.

2016 წლის მონაცემებით აჭარის ტერიტორიაზე ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი შეადგენდა 5177 ჰა. მათ შორის ქ. ბათუმში (ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე, რომლებიც ეკუთვნოდა ხელვაჩაურის რაიონს) 674 ჰა, ქობულეთს 2767 ჰა, ხელვაჩაურში 1734 ჰა. ციტრუსოვანთა ცალკეული კულტურების მიხედვით მონაცემები ასეთია: მანდარინი -3143,5 ათასი ძირი, მათ შორის ნაყოფის მომცემი - 2975,4 ათასი ძირი, ხვედრითი წილი - 94,7%; ფორთოხალი - 107,9 ათასი ძირი, მსხმოიარე - 102,7 ათასი ძირი, ხვედრითი წილი- 93,6%; ლიმონი -136,3 ათასი ძირი, მსხმოიარე - 126,6 ათასი ძირი, ხვედრითი წილი - 92,9%.

მეციტრუსეობის დარგში მოსავლიანობის გადიდებისა რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს:~

- ციტრუსოვანთა ნარგავების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება ხანდაზმული , დაავადებული , ამორტიზირებული ბაღების რეაბილიტაცია;
- ციტრუსოვანთა ბაღებში ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლა, დაავადებებისა და მავნებლების ხარისხის დადგენა, მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული დაკვირვებების ჩატარება , გასატარებელი აგროტექნოლოგიების გამოყენების შესახებ დასაბუთებული რეკომენდაციების და

წინადადებების შემუშავება- მიწოდება ცალკეულ მეწარმე სუბიექტებზე;
- მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებაში სახელმწიფო მონაწილეობის გაფართოება , მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება , მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული პირების მიერ მაშტაბური ღონისძიებების შესრულებაში სავალდებულო ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მეციტრუსეობის ზონებში მრავალწევრიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების სტიმულირება (სოფლების, თემების დონეზე). მათვის ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების მოძიებაში დახმარების გაწევა, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და მისგან წარმოებული პროდუქციის შესანახი სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობების მოწყობა, მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების , საამქროების , უბნების შექმნაში ხელშეწყობა;
- მეციტრუსეთა სწავლება კონსულტირების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალისტების მომზადება;
- ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ყვავილის არატრადიციული ნედლეულის გადამუშავების არსებული ტექნოლოგიების სრულყოფა და ახალი პროდუქციის მიღების ტექნოლოგიების შემუშავება;
- ციტრუსოვნებისაგან წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოება , ბუნებრივი არომატიზატორების გამოყენება;
- ციტრუსოვანთა საადრეო ჯიშების დანერგვა და დარაიონების ახალი სქემების შემუშავება;
- სტანდარტული ნაყოფის ხვედრითი წილის ამაღლების და არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავების მასშტაბების გაფართოება.

მონაწილეობა საქართველოს პარლამენტში აგრარული კომიტეტის ინიციატივით გამართულ კონსულტაციებში

2018 წლის 23 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ნოდარ ჭითანავამ და ელგუჯა შაფაქიძემ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტში აგრარული კომიტეტის ინიციატივით ჩატარებულ კონსულტაციებში, რომელიც ეხებოდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის განხილვას. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე არასამთავრო ბო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ **ოთარ დანელიამ** განაცხადა, რომ კანონპროექტი შემუშავების პროცესშია, კონსულტაციები იმართება სხვადასხვა ორგანიზაციის, სფეროსა თუ სექტორის წარმომადგენლებთან და ეს შეხვედრები ხელს შეუწყობს კანონპროექტის საბოლოო კონდიციამდე მიყვანას. როგორც მან აღნიშნა, კომიტეტში უკვე წარმოდგენილია ბევრი შენიშვნა, წინადადება თუ რეკომენდაცია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა კიდეც პროექტში.

შეხვედრაზე კანონპროექტის ირგვლივ მნიშნელოვანი მოსაზრებებით და წინადადებებით გამოვიდა **აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.** თავის გამოსვლაში ბატონმა ნოდარმა მხარი დაუჭირა სასოფლო-სამეურნეო მიწის ეროვნული სიმდიდრის რაციონალურად გამოყენების მიზნით პროექტში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და აღნიშნა, რომ კანონის მიღება დააჩქარებს სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დარგების კომპლექსური განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას. ამასთან მან წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს კანონპროექტით განხილული მიზნების (ამოცანების) განხორციელებას.

აკად. ნ. ჭითანავამ წინადადება შეიტანა, რომ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიებში აუცილებლად იქნეს შეტანილი მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები; მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა კანონში განისაზღვროს წესი, რომლის მიხედვით უცხოელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი გადაეცეს მხოლოდ საიჯარო ურთიერთობათა საფუძველზე, ვინაიდან საიჯარო ურთიერთობების განვითარება მიწის ბაზრის ფორმირება-სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის შესახებ კანონპროექტში სტრატეგიულად სწორად არის განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის საკითხები. ამასთან დაკავშირებით აკად. ნ. ჭითანავამ წინადადება შეიტანა, რომ საჯარო სამსახურის იურიდიულ პირს

- მიწის მდგრადი განვითარებისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს ეწოდოს „მიწის რესურსების მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტო“.

ოთარ დანელიას განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვ ისმიყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულმა მ ორატორიუმმა საბანკო სექტორთან მიმართებაში გა რკვეულიპრობლემები და სირთულეები შექმნა. კან ონმდებლები ფიქრობენ, რომ აღნიშნული კანონპრო ექტისპარალელურად, ცვლილებები შეიტანონ მოქმ ედ მორატორიუმში, რათა ფინანსურ რესურსებზეხე ლმისაწვდომობა ისევ გახდეს უფრო თავისუფალი, ვინაიდან სწორედ ამ მორატორიუმის გამო, საკამო დ დიდიაქტივები დღეს განკარგვის გარეშეა.

აკად. ნ. ჭითანავას წინადადებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენებაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალიზებული საადგილმამულო სახელმწიფო კომერციული ბანკი, რომელიც მოემსახურება აგრარული სექტორის განვითარებას, ხელს შეუწყობს მიწის რაციონალურად გამოყენების სტიმულირებას.

აკად. ნ. ჭითანავს მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ ამჟამად დადგენილი წესის მიხედვით საქართველოს მიწის ფონდში შეტანილია საქართველოს ტერიტორიული წყლების ფართობი. აღნიშნული ფართობი ცალკე უნდა გამოიყოს და დაფიქსირდეს მისი სტატუსის მიხედვით. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს განხილულ კანონპროექტში.

შეხვედრის დასასრულს ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ კანონპროექტის მიმართ გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებები გადამუშავდება კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ და შესაძლებელია მათი კანონპროექტში გათვალისწინება. ბატონმა ოთარმა კანონპროექტის მიღების პროცედურებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი ინიცირება თვის ბოლომდე მოხდება,საბოლოო მიღება კი კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე იგეგმება, ვინაიდან მოქმედიკანონმდებლობით პროცედურა ასეა განსაზღვრული.

მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის აპარატსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის

მიმდინარე წლის 3 მაისს საქართველოს პარლამენტის თბილისის სასახლეში, თამარ მეფის დარბაზში, გაიმართა მემორანდუმის გაფორმების ცერემონია.

მემორანდუმის გაფორმებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის აპარატმა და 11 სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციამ, რომელთა შორის იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც. პარლამენტის აპარატის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა ბატონმა გივი მიქანაძემ, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპზე დაფუძნებული თანამშრომლობა. მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობას. მემორანდუმის ამოცანები ითვალისწინებს აქტუალურ საკითხებზე ერთობლივ სამუშაო შეხვედრებს, სემინარების, კონფერენციების ორგანიზებას, სახელმძღვანელოების და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებას და გამოქვეყნებას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას და შემუშავების პროცესში კონსულტაციების გაწევას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გარდა ზემოაღნიშნულისა თავის მხრივ ვალდებულებას იღებს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს აგრარული დარგის სხვადასხვა სფეროში პროფესიული უნარჩვევების განვითარებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში და ხელი შეუწყოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლების ჩართულობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო საქმიანობაში.

საგრანტო პროექტის შემაჯამებელი ანგარიში

2018 წლის 04 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ***საგრანტო პროექტის FR/454/10 - 140/14 (ფუნდამენტური კვლევა) "ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდიკის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით"*** დამუშავების სამი წლის ანგარიშის მოსმენა - პრეზენტაცია. პროექტის ხანგრძლივობა 01.05.2015-01.05.2018. პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოს შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. პრეზენტაცია ანონსირებული იყო აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge.

პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, პროექტის ძირითადი შემსრულებლები და დამხმარე პერსონალი, აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. რ. მახარობლიძე, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. ო. ქეშელაშვილი, აკად. შ. ჭალაგანიძე, აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების თანამშრომლები.

პროექტის ძირითადი შემსრულებლები: ელგუჯა შაფაქიძე-სსმმ აკადემიის აკადემიკოსი (პროექტის ხელმძღვანელი); გივი მოსაშვილი - სსმმ აკადემიის მთავარი სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი; გრიგოლ ჩიტაია - აკადემიური დოქტორი.

დამხმარე პერსონალი: ანატოლი გიორგაძე - სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სოფლის მეურნეობის დოქტორი; კარენ ბოძაშვილი - აკადემიური დოქტორი; როლანდ ჯაფარიძე - აკადემიური დოქტორი; მარიამ მოსაშვილი - სსმმ აკადემიის უფროსი სპეციალისტი; რევაზ მახარობლიძე - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, მოწვეული სპეციალისტი, ეთერი ყურაშვილი - ბუღალტერი.

პრეზენტაციაზე პროექტის შემაჯამებელი მოხსენებები (ანგარიში) გააკეთეს პროექტის ხელმძღვანელმა, აკად. ე. შაფაქიძემ, ძირითადმა შემსრულებელმა, დოქტ. გივი მოსაშვილმა, ბუღალტერმა ეთერ ყურაშვილმა.

პროექტის დამუშავებაში ჩართული იყო საქართველოს 8 რეგიონის 36 რაიონის სოფლის

მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რომლებმაც მოწოდებული საინფორმაციო მასალების შედეგად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

პროექტის დამთავრების შემდეგ მიღებულია ახალი, დასრულებული მეთოდიკა და კომპიუტერული პროგრამები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა ცალკეული ფერმერული მეურნეობებში, რეგიონებსა და რაიონებში და მთლიანად ქვეყანაში;

მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს სამშენებლო წარმოებაში, საგზაო სტრუქტურების მოწყობაში და საერთოდ ყველა სფეროში, სადაც გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ტექნოლოგიასა და მოცულობაზე. მეთოდიკის შესაბამისად გაანგარიშებული ტექნიკის რაოდენობა შეიძლება საფუძვლად დაედოს მთავრობის ტექნიკურ პოლიტიკას სოფლად.

პროექტის მასალები შესაძლებელია გამოიყენოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა და სხვა დაინტერესებულმა უწყებებმა. სულ საგრანტო პროექტის დამუშავების დროს მომზადდა ტრანშების სამი პროგრამული ანგარიში, გამოცემულია 13 სამეცნიერო სტატია მაღალ რეიტინგულ გამოცემებში,, ორი სამეცნიერო ნაშრომი (ბროშურა), ერთი დასკვნითი ანგარიში და რეკომენდაციები (180 გვ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე სტუმრად აკადემიაში

2018 წლის 17 მაისს აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე და სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ვალერიან გობრონიძე.

სტუმრებს დახვდნენ და მასპინძლობა გაუწიეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარიძემ, აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების უფროსებმა, აკად. ელგუჯა შაფაქიძემ და დოქტ. ანატოლი გიორგაძემ, აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველმა, აკად. ნოდარ ჭითანავამ, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებმა აკად. ჯემალ გუგუშვილმა და აკად. ომარ ქეშელაშვილმა, სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივნებმა დოქტორებმა მარინა ბარვენაშვილმა და რევაზ ლოლიშვილმა.

შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, მაგრამ ამავდროულად დაისვა ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც აკადემიის სამომავლო პერსპექტივებს ეხებოდა.

სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის შენობა, აკადემიის მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, სამუშაო კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები, საგამოფენო სტენდები. განმარტებებს იძლეოდნენ აკად. გ. ალექსიძე, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. ე. შაფაქიძე და დოქტ. ა. გიორგაძე.

შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა გადაინაცვლეს საკონფერენციო დარბაზში, სადაც აკადემიის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა,

აგრეთვე აკადემიის სხვა წევრებმა, სტუმრებს გააცნეს აკადემიის ისტორია, მისი მიღწევები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აკადემიის ფართო საერთაშორისო ურთიერთობები, მემორანდუმები საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან, აკადემიაში გამოცემული ლიტერატურა, განსაკუთრებით 100-ზე მეტი პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები და ა.შ. სტუმრებს გააცნეს აგრეთვე ყველა ის საკითხი, რომელიც აკადემიის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს. ეს საკითხებია: აკადემიის შენობასთან დაკავშირებული პრობლემები, აკადემიაში სტიპენდიანტების ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა და ამ მიმართულებით სამინისტროს დახმარება, აკადემიკოსების ყოველთვიური ანაზ-

ღაურების გაზრდის საკითხი, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების და სწავლული მდივნების ხელფასების ბიუჯეტში გათვალისწინება, ფერმერთა კვალიფიკაციის ცენტრის ფუნქციონირებისათვის ბიუჯეტში განსაზღვრული თანხების გამოყოფა, სამივლინებო თანხების გაზრდა, აკადემიის წევრების სამინისტროს საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა, განსაკუთრებით პროფესიული მომზადების აგრარული მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიის წევრების ფართოდ ჩაბმა, სამინისტროს სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიის აქტიური მონაწილეობა, შ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მუშაობაში აკადემიის წევრების ექსპერტებად ჩაბმის საკითხები და საერთოდ აკადემიასა და სამინისტროს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტების გაღრმავება და გაფართოება.

მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ა. თევზაძემ გამოთქვა კმაყოფილება აკადემიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის გამო და დაპირდა მასპინძლებს სრულ მზაობას ზემოთ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში მისი კომპეტენციის ფარგლებში და მათ შესახებ მინისტრის, ბატონ მ. ჩხენკელის საქმის კურსში ჩაყენებას, რათა დადებითად გადაწყდეს ყველა ის პრობლემური საკითხი, რომელიც შეხვედრის დროს დაისვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე და სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ვალერიან გობრონიძე

აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და ვიცე-პრეზიდენტი აკად. გივი ჯაფარიძე სტუმრებთან ერთად აკადემიის საგამოფენო დარბაზში

აკადემიის წარმომადგენელი აჭარის აგროსერვის ცენტრის გვარას ექსპერიმენტულ მეურნეობაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით და მისი კონსულტაციებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პირადად მინისტრის ავთანდილ მესხიძის დიდი ძალისხმევით სამინისტროს აგროსერვის ცენტრის გვარას ექსპერიმენტულ მეურნეობაში 2018 წელს ჩატარდება თუთის აბრეშუმხვევიას საცდელ - საჩვენებელი გამოკვება მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნული მიზეზის გამო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეწვია და მინისტრთან საქმიანი შეხვედრა გამართა აკადემიის წარმომადგენელმა, აკადემიკოსმა ელგუჯა შაფაქიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე, დირექტორის მოადგილე იოსებ აბულაძე, სამინისტროს და აგროსერვის ცენტრის თანამშრომელები.

მეაბრეშუმეობა აჭარაში და მთლიანად მთელ საქართველოში მძიმე მდგომარეობაშია - იგი თითქმის მთლიანად მივიწყებულია და აღდგენა-განვითარებას მოითხოვს.

ამ მიმართულებით აკადემიას ძალზე დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის და აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ხელმძღვანელობით. აკადემიაში მომზადებულია საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებისათვის, მეაბრეშუმეობის აღორძინების საინვესტიციო პროექტები ხონისა და ვანის რაიონში, გამოცემულია აღნიშნულ საკითხებზე 3 მონოგრაფია, მათ შორის ერთი აჭარის მეაბრეშუმეობაზე, მრავალი რეკომენდაცია და საცნობარო მასალა.

მიმდინარე წელს აჭარის სოფლის

მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრის გვარას ექსპერიმენტულ მეურნეობაში ჩატარდება 0,8 კოლოფი თუთის აბრეშუმხვევიას ექსპერიმენტული გამოკვება, რითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს დარგის აღორძინების პირველ ნაბიჯებს აჭარაში. ამ მიზნით აგროსერვის ცენტრმა ოზურგეთის მექანიკურ ქარხანას შეუკვეთა აკადემიის მიერ რეკომენდებული გამოსაკვები დანადგარი 60 კვ.მეტრი გამოსაკვები ფართობით, თუთის ტოტებიდან ფოთლის გამცლელი და ფოთოლსაჭრელი მოწყობილობები. ექსპერიმენტის დროს განხორციელდება ნედლი აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევის პროცესი მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევ მოწყობილობაზე, რომელიც ბიზნესმენმა ჯიმშერ ჩხაიძემ უსასყიდლოდ გადასცა აჭარის აგროსერვის ცენტრს.

უახლოეს დღეებში დაიწყება თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების პროცესი მეაბრეშუმე მეცნიერის, დოქტორ ნარგიზ ბარამიძის ხელმძღვანელობით და ცენტრის მეაბრეშუმეობის სპეციალისტების მონაწილეობით.

მასპინძლებმა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აკად. ე. შაფაქიძეს დაათვალიერებინეს თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები სათავსო, სადაც დამონტაჟდება ზემოთ აღნიშნული მოწყობილობები, გააცნეს მას სათავსოში მიკროკლიმატის დასამყარებელი ტექნოლოგიები და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ძალზე დიდ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას ეწევა. აკად. ე. შაფაქიძემ დაათვალიერა ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის ვაზის სანერგე მეურნეობის სათბური სადაც 6 ჯიშის 30 000-მდე ვაზის ნამყენია განთავსებული.აღნიშნული ნერგები შეღავათიან ფასად

მაისის თვიდან მიწოდებული იქნება ფერმერებზე. მან მოინახულა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში ,,სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის''პროექტის მიმდინარეობა, რომელიც 2.5 ჰა-ზეა განთავსებული და მოიცავს 50 ერთეული 500 მ²ფართობის სათბურებს მოწყობას. სტუმრები ასევე დაესწრნენ ,,მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის'' ფარგლებში ფერმერებზე ტექნიკის განაწილების პროცესს, რომელიც თანადაფინანსების პრინციპით გაიცემა ფერმერბზე და აგრომეწარმეებზე.

აგროსერვის ცენტრში ჩამოყალიბებულია აგრომარკეტი, სადაც ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სათესი მასალა, სხვადასხვა სახის სასუქები, კარტოფილის მოვლა-მოყვანის ტექნიკური საშუალებები.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მესამე ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნები: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა გამოწვევები" მიძღვნილი უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებიდან 120 წლისთავისადმი

მიმდინარე წლის 23-25 მაისს ქ. კიევში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მესამე ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნები: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა გამოწვევები" მიძღვნილი უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებიდან 120 წლისთავისადმი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოს 24 ქვეყნიდან: აშშ, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ვიეტნამი, ნიგერია, ნიდერლანდები, კვიპროსი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო, მოლდოვა, სლოვაკეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქეთი. სულ კონფერენციის მუშაობაში მონაწილებდა 1100 მეცნიერი და მკვლევარი.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე რომელმაც პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით მიულოცა უკრაინელ კოლეგებს უნივერსიტეტის დაარსებიდან 120 წლის იუბილე. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სტანისლავ ნიკოლაენკო, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე მაქსიმ სტრიხა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული უკრაინის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურის უფროსი ვლადიმერ

ლაპი, უკრაინის ეროვნული აგრარული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი იაროსლავ გაძალო, უკრაინის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვასილი კრემენი, ჩინეთის შენიანის აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ჟენგლი ჟანგი, ვიეტნამის (ხანოი) ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ფამ კვუოკ ტოანი და სხვები

პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა სექციებში, სულ მუშაობდა 7 სექცია. კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობა ბორკიში და გაეცვნენ იქ განთავსებულ ტრეინინგ ცენტრის ინფრასტრუქტურასა და საქმიანობას.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის რექტორმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა სტანისლავ ნიკოლაენკომ.

მარცხნიდან: დოქტორი ანატოლი გიორგაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი იაროსლავ გაძალო - უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი; მაქსიმ სტრიხა - უკრაინის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; პროფესორი, პრდაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი სტანისლავ ნიკოლაენკო - უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის რექტორი.

სტანისლავ ნიკოლაენკო - უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა აკადემიაში

2018 წლის 30 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის 2017 წლის ანგარიში. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-2 თავის 5-ბ მუხლის შესაბამისად: „აკადემია იხილავს და აფასებს აგრარული სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციები - დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს“.

აკადემიის პრეზიდიუმის სხდომას თავმჯდომარეობდა ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე. სხდომას ესწრებოდნენ პრეზიდიუმის წევრები და მოწვეული სტუმრები სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან - დირექტორი პროფ. ლევან უჯმაჯურიძე, დირექტორის მოადგილე ნოდარ ხატიაშვილი, ცენტრის დეპარტამენტების და სამსახურების ხელმძღვანელები.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის ხელმძღვანელის ძირითად პრეზენტაციამდე ცენტრის თითოეული დეპარტამენტისა და სამსახურის ანგარიშები ფართოდ იქნა განხილული აკადემიის დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებების სხდომებზე, სადაც გამოითქვა მრავალი მოსაზრება და სურვილები ცენტრის ამა თუ იმ განყოფილების მუშაობის შეფასების დროს.

პრეზენტაცია „სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“ პრეზიდიუმის სხდომას წარუდგინა ცენტრის დირექტორმა, პროფ. ლ. უჯმაჯურიძემ. მომხსენებელმა ფართოდ მიმოიხილა 2017 წელს განხორციელებული პროექტები, დეტალურად გააცნო მსმენელებს თითოეული დეპარტამენტისა და სამსახურის მიერ საანგარიშო წელს გაწეული მუშაობა; სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ახორციელებს 4 ძირითად პროგრამას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2020 წლების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში და აგრარული მეცნიერების განვითარების მიმართულებით, რომელშიც ჩართულია 90 მეცნიერი და მუშავდება 52-ზე მეტ სამეცნიერო პროექტი, რომელთა ძირითადი მიმართულებებია:

მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გაუმჯობესება, მცენარეთა ახალი ჯიშების გამოცდა და სელექციური სამუშაოების აღდგენა; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, დეგრადირებული ნიადაგების რეაბილიტაცია; ცხოველთახელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა; თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება; ახალი ტექნოლოგიების ადაპტაცია და გავრცელება; სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასები ს უზრუნველყოფა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლება; ბიომეთოდების შემუშავება დაბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვა.

მოხსენების შემდეგ ცენტრის მუშაობა შეაფასეს სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებმა და პრეზიდიუმის სხვა წევრებმა. ერთხმად აღინიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს საანგარიშო პერიოდში ჰქონდა საკმაოდ

კარგი შედეგები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და გამოიკვეთა დადებითი პერსპექტივები, რომელიც ცენტრს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციად წარმოაჩენს. გამომსვლელებმა გამოთქვეს საინტერესო წინადადებები და სურვილები, რომელიც ცენტრის სამომავლო საქმიანობას შეეხებოდა. მათ შორის აკად. ნ. ჭითანავამ დადებითად შეაფასა ცენტრის მუშაობა და შესთავაზა ცენტრის ხელმძღვანელობას ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება საქართველოს მიწის რესურსების მართვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე.

სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ შეაჯამა პრეზიდიუმის სხდომის მუშაობა და დადებითად შეაფასა სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვლილი საქმიანობა და წინადადება შემოიტანა, რომ მიზანშეწონილია ცენტრსა და აკადემიას შორის გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი, გამოყენებული იქნეს აკადემიის სამეცნიერო პოტენციალი და გამოცდილება, რაც კიდევ უფრო მეტად ჩართავს აკადემიის მეცნიერებს ცენტრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ცენტრის მომავალ საქმიანობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომის თავმჯდომარე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე

მრგვალი მაგიდა ეროვნული კოორდინატორების მონაწილეობით

2018 წლის 27 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ".

მრგვალი მაგიდა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ. მან ხაზი გაუსვა აკადემიაში მოქმედი კოორდინატორების ინსტიტუტის მნიშვნელობას, მათ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში; აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზუდიუმთან არსებული ეროვნული კოორდინატორი წარმოადგენს აკადემიასთან ჩამოყალიბებული სპეციალური დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, რომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, განყოფილების მიერ დამტკიცებული ეროვნულ კოორდინატორთა სამუშაო გეგმის შესაბამისად.

აკად. გ. ჯაფარიძემ გაანალიზა დარგობრივი ეროვნული კოორდინატორების საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები,

განმარტა 2013 წელს დამტკიცებული ეროვნული კოორდინატორების დებულება და აღნიშნა მასში ცვლილებების აუცილებლობა.

მრგვალი მაგიდის მუშაობის პროცესში საქმიანი წინადადებები და განმარტებები გააკეთეს ეროვნულმა კოორდინატორებმა - აკადემიკოსებმა ნ. *ჩხარტიშვილმა, რ. მახარობლიძემ, თ. ყურაშვილმა, ი. ვასაძემ, ა. ვაშაკიძემ, ჯ. გუგუშვილმა, ზ. ცქიტიშვილმა, გ. მარგველაშვილმა, თ. რევიშვილმა, ზ. ფუტკარაძემ, რ. კოპალიანმა, მეცნიერებათა დოქტორებმა ა. მესხიშვილმა, ვ. სუხიშვილმა, გ. მაძღარაშვილმა, თ. ღვინიანიძემ, დოქტორმა ნ. კაკაბაძემ.*

ეროვნული კოორდინატორების მნიშვნელობაზე და მათ სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა აკად. ე. შაფაქიძემ და აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველმა *აკად.* ნ. ჭითანავამ.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიის მთის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. ნოე ხოზრევანიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო მის ხელთ არსებული აგრარული მიმართულების დარგების მოვლა-მოყვანისა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შექმნილი 300-ზე მეტი ფილმის ჩამონათვალი და აღნიშნა, რომ მზად არის ამ ფილმების ჩვენებით და შესაბამისი სპეციალისტებით დაეხმაროს ეროვნული კოორდინატორების ჯგუფებს რეგიონებში გამართულ შეხვედრების დროს, აგრეთვე აკადემიასთან არსებულ ფერმერთა და სპეციალისთა სასწავლო ცენტრს.

აკად. გ. ჯაფარიძემ შეაჯამა რა მრგვალი მაგიდის მუშაობა, კიდევ ერთხელ აღნიშნა აკადემიაში ჩამოყალიბებული დარგობრივი ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტის მნიშვნელობა, როგორც მეცნიერებასა და სოფლის მეურნეობის წარმოებას შორის ურთიერთკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა; აღინიშნა, რომ ეს ინსტიტუტი მოითხოვს შემდგომ სრულყოფას, მიზანშეწონილია დებულების ახალი რედაქციის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება მრგვალ მაგიდაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები და ხაზი გაესვა დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების როლის გაზრდას და მუშაობის გაუმჯობესებას ეროვნული კოორდინატორების მართვის მიმართულებით.

სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორები მიმართულებების მიხედვით (2018 წელი)

1. ***მევენახეობა-მეღვინეობა*** _ **აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი** _ ბინ.2 31 13 16; მობ. 599 51 88 58; **აკად. დოქტ. ლევან უჯმაჯურიძე** - ბინ. 223 01 36; მობ. 595 22 22 17;

აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე _ ბინ.2 7 50 21; მობ.599 50 61 25;. **ტექნ. მეც. დოქტორი თემურ ღვინიანიძე** - მობ. 593 18 83 53; **სოფლ. მეურნ. დოქტორი დავით მაღრაძე** - ბინ. 224 76 78, მობ. 593 34 10 26;

2. ***მებოლეობა*** - **აკადემიკოსი იუზა ვასაძე** _ ბინა 2 23 21 51; მობ. 577 40 76 31;

3. ***ჩაი და ციტრუსები*** - **აკადემიკოსი ვალერიან ცანავა** _ ბინა 6 45 38 (ოზურგეთი-ანასეული); მობ. 599 53 22 25; **აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი** - მობ. 599 19 65 70;

4. ***მინდვრის კულტურები-აკად. წ/კ ოთარ ლიპარტელიანი*** _ მობ. 599 57 10 51; **აკად. ტექნიკის დოქტორი კახა ლაშხი** - მობ. 591 91 82 88;

5. ***ბოსტნეული კულტურები*** - **ს.მ. მეც. დოქტ. ვალერი სუხიშვილი** - ბინ. 0370 273 660; მობ. 599 97 27 02; **ს. მეურნ. დოქტ. ნატო კაკაბაძე** - მობ. 593 34 67 02;

6. ***მცენარეთა დაცვა*** _ **აკადემიკოსი გურამ ალექსიძე** _ ბინ. 2 38 00 16; მობ. 593 20 07 93; **სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი შაქრო ყანჩაველი** - ბინ.253 50 56, მობ. 577 50 87 92;

7. ***მიწათმოქმედება*** _ **სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი გიორგი ბოლღაშვილი** - მობ. 599 56 29 45;

8. ***სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია*** _ **აკადემიის წ/კ თამაზ თურმანიძე** _ბინ. 2 38 61 32; მობ. 591 17 04 96; **სოფლ. მეურნ. დოქტ. მაია მელაძე** - 593 11 81 64;

9. ***აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა*** - **აკად. გოგოლა**

მარგველაშვილი _ ბინ. 2 38 61 34; მობ.599 63 14 61; აკად. რეზოჯაბნიძე -მობ. 555 12 64 58;ა

10. *მიწათსარგებლობა* - ეკონ. მეცნ. დოქტ. ანზორ მესხიშვილი - ბინ.222 55 53; მობ. 599 92 55 53;

11. *მეცხოველეობა* - აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი _ ბინ. 2 69 40 24; მობ. 577 41 29 23;

12. *საკვებწარმოება* _ სოფლ მეურ. მეცნ. დოქტ. იოსებ სარჯველაძე _ ბინ.2 96 87 77; მობ. 599 17 36 20;

13. *ვეტერინარია* _ აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი _ ბინ. 2 31 48 18; მობ. 599 58 55 16;

14. *სურსათის უვნებლობა* _ აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი _ ბინ.2 37 18 52; მობ.577 57 77 71;

15. *მეაბრეშუმეობა* _ აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი _ მობ. 597 31 33 11;

აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია _ ბინ. 2 38 29 28; მობ.599 50 38 16. აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე - ბინ. 223 02 93; მობ. 577 711 775;

16. *სოფლის მეურნეობის მექანიზაცია* _ აკადემიკოსი რეზო მახარობლიძე _ ბინ. 2 61 00 26; მობ. 599 53 52 82; აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე - ბინ. 223 02 93; მობ. 577 711 775;

17. *სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია* - აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე - ბინა 222 53 53; 577 79 91 91;

18. *სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია* _ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი _ ბინა 2 22 22 42; მობ. 555 23 23 73.

19. *სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა და გადამუშავება* - *აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია* _ ბინ. 2 22 66 46; მობ. 599 43 15 14.

აკადემიკოსი თემურ რევიშვილი_ მობ. 599 53 34 88;

20. *მეტყევეობა* _ აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი _ ბინ.2 23 28 74; მობ. 599 93 96 00; აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე - ბინ. 222 20 47; მობ. 599 54 99 99;ს.მ. მეცნ. დოქტ. გიორგი გაგოშიძე - მობ. 577 112 004; საკად. თენგიზ ურუშაძე - ბინა 210-20-05, მობ. 599-58-25-41; აკადემიის წ/კ თამაზ თურმანიძე _ ბინ. 2 38 61 32; მობ. 591 17 04 96;

21. *მეფუტკრეობა* _სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი გიორგი მაძღარაშვილი- ბინა 269 97 06, მობ. 555 390 756, სოფლ. მეურნ. დოქტორი მაია ფეიქრიშვილი - მობ. 593 36 31 29.

მრგვალი მაგიდა ვეტერინარიის მიმართულების ეროვნულ კოორდინატორებთან

2018 წლის 8 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ვეტერინარიის მი მართულების ეროვნული კოორდინატორის, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელზეც განხილული იყო ორი საკითხი:

1. საქართველოში ცხოველთა სადგომების მდგომარეობის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი;

2. ბაქტერიული პრეპარატის გამოყენება ნაკელის (სკორეს) სწრაფი კომპოსტირებისა და შემდგომი გაუსნებოვნებისათვის; მომხსენებელი: საწარმო BIO ELEMENTS AGRO-ს დირექტორი ელენე ბოკუჩავა.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკდემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიკოსმა ელგუჯა შაფაქიძემ,

აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორმა, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ, მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივნებმა, დოქტორებმა რევაზ ლოლიშვილმა, მარინა ბარვენაშვილმა, საქართველოში საწარმო BIO ELEMENTS AGRO -ს წარმომადგენელმა დავით გავარდაშვილმა და მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ კომპანიის უცხოელი წარმომადგენლები და ვეტერინარიის და მეცხოველეობის მიმართულების საკოორდინაციო ჯგუფის მეცნიერ-სპეციალისტები, აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

მრგვალი მაგიდა გახსნა აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა, მან დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი, რის შემდეგაც ფართოდ ისაუბრა საქართველოში ცხოველთა სადგომების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებსაც ქვეყნის ყველა რეგიონში ვხვდებით.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგა აკადემიის სტუმარი, საწარმო BIO ELEMENTS AGRO-ს დირექტორი ქალბატონი ელენე ბოკუჩავა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო მათი საწარმოს მუშაობის ძირითადი მიმართულებები, რომელიც მოიცავს ბაქტერიული პრეპარატების დამზადებას მეცხოველეობის და მემცენარეობის მიმართულებებით .მეცხოველეობის მიმართულებით მათი პრეპარატების საშუალებით შესაძლებელი ხდება ნაკელის (სკორეს) სწრაფი კომპოსტირება და შემდგომი გაუსნებოვნება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოველთა ღრმა საფენზე შენახვის შემთხვევაში. ამ მიმართულებით დამზადებული აქვთ ბიოპრეპარატები მსხვილფეხა - რქოსანი პირუტყვისათვის, ღორისათვის, სას. სამ. ფრინველისათვის. რაც შეეხება მცენარეებს, ისინი აწარმოებენ მცენარეთა დაცვის საშუალებებს და ბიო- სტი მულატორებს.განსაკუთრებით საყურადღებო იყო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შემუშავებული პრეპარატი,რომლის გამოცდაც წარმატებით მიმდინარეობს აფხაზეთში. ამ საკითხთან დაკავშირებით აკადემიას განზრახული აქვს განიხილოს აღნიშნული საკითხი კომპანიასთან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის და ქალბატონ ე. ბოკუჩავას შეხვედრის შემდეგ, რომელიც უახლოს დღეებში შედგება.

მრგვალი მაგიდის დასასრულს აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას.

ქალბატონმა ელენე ბოკუჩავამ გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში აკადემიაში კვლავ სტუმრობის და დარგების მიხდვით სპეციალური ინფორმაციის მიწოდების შესახებ..

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მხარდაჭერა

2018 წლის 29 ივნისს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს აკადემიის „სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიების“ სამეცნიერო განყოფილების (განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკად. ზ. ცქიტიშვილი) მიერ წარმოდგენილი საკითხი: „სურსათის მეცნიერებებისა და ნუტრიციოლოგიის საბაკალავრო სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირება“, მომხსენებელი შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიცინის აკადემიური დოქტორი ქეთევან დადიანი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხის წარდგენის მიზანს წარმოადგენს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისთვის, როგორც სურსათის უვნებლობის, ადამიანის კვებისა და ზოგადად -სურსათის სფეროთი დაინტერესებული მეცნიერებისთვის, წარედგინათ სამეცნიერო განყოფილების და ამ დარგში დასაქმებული მეცნიერების ხედვა საქართველოში ნუტრიციოლოგიის და დიეტოლოგიის დარგში არსებულ გამოწვევებზე, პერსპექტივებზე და უფრო კონკრეტულად კი ამ სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხებზე.

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს საბაკალავრო პროგრამა, რომელიც სტუდენტებს მისცემს ცოდნის მიღების შესაძლებლობას ნუტრიციოლოგიისა და სურსათის მეცნიერებების დარგში.

დოქტორ ქეთევან დადიანს სამეცნიერო განყოფილების სახელით შემოაქვს წინადადებით, რომ აკადემიის პრეზიდიუმმა მხარი დაუჭიროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N120/ნ -ის შესაბამისად, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“, დანართი N4-ით განსაზღვრულ ჩარჩოში ახალი დარგის/სპეციალობის „ნუტრიციოლოგიის“ დამატების ინიცირების პროცესის დაწყებას და ასევე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში „სურსათის მეცნიერების“, როგორც მიმართულებათშორისი დისციპლინის განსაზღვრას.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა ზ. ცქიტიშვილმა, თ. რევიშვილმა, ი. ვასაძემ, ჯ. გუგუშვილმა, ნ. ქარქაშაძემ, ე. შაფაქიძემ, დოქტ. მანანა გობეჯიშვილმა-ინგლისის ნუტრიციოლოგთა ასოციაციის წევრმა, ინგლისის რეგისტრირებულმა ნუტრიციოლოგმა.

გამომსვლელების წინადადებები და სურვილები შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ერთხმად მხარი დაუჭირა სამეცნიერო განყოფილების წინადადებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N120/ნ -ის შესაბამისად, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“, დანართი N4-ით განსაზღვრულ ჩარჩოში ახალი დარგის/სპეციალობის „ნუტრიციოლოგიის“ დამატების ინიცირების პროცესის დაწყებას და ასევე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში „სურსათის მეცნიერების“, როგორც მიმართულებათშორისი დისციპლინის განსაზღვრას.

აღნიშნული დადგენილება გადაეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეაგირებისათვის.

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 18 საკითხი. მათ შორის:
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე_პრეზიდენტის და აკადემიკოს_მდივნის არჩევნების დებულების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის უცხოელი წევრების და საპატიო აკადემიკოსების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების არჩევნების ჩატარების დებულების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე_პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე. აგრარულ დარგში საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემიის მინიჭების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე_პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე_პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს_მდივნების არჩევის შედეგების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე_პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები, დოქტორები – რევაზ ლოლიშვილი და მარინა ბარვენაშვილი; საქართველ;ოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო_კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო საბჭოსა და რისკის შეფასების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული სამეცნიერო_კვლევითი მუშაობის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ზ. ცქიტიშვილი;
საქართველოს პარლამენტის აპარატსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო_კვლევითი ცენტრის 2017 წლის სამეცნიერო _კვლევითი საქმიანობის შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დორექტორი, პროფესორი ლ. უჯმაჯურიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. მომხსენებლები: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; აკადემიკოსი ნ. ქარქაშაძე, აკადემიკოსი ჯ. გუგუშვილი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნ. ქარქაშაძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ე. შაფაქიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აგრარიკოს მეცნიერთა სამეცნიერო მიღწევების ამსახველი მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე_პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი,* ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის* ***დოქტორი ანატოლი გიორგაძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,* ***ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი***

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.